საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - დარგის ფასილიტატორების შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება 14 თებერვლიდან და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „**დარგის ფასილიტატორი**"

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

დარგის ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი პროფესიული განათლება ან/და 3 წლიანი გამოცდილება სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის სფეროში;
ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Power Point) კარგად ცოდნა.

დარგის ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:
ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;
გ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით.

კონკურსის შედეგად, დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლი 31 მარტის ჩათვლით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1400 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დაადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტის ცოდნა - საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ".

დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:
ა) ლოგიკური აზროვნების;
ბ) ანალიტიკური აზროვნების;
გ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციის;

დ) დროის მართვის;
ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე, სადაც კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.